სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ფუნქციური აღწერა

სადოქტორო პროგრამებისთვის

პროგრამის სასწავლო-ორგანიზაციული მეთოდები

ბლოკ-სემინარი – სადოქტორო აკადემიური პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდია, რომლის სასწავლო-ორგანიზაციული ფორმაა სესია.

სესია გულისხმობს 1-4 დღიანი ინტენსიური სასწავლო აქტივობის განხორციელებას დღეში 6-8 საათის ფარგლებში. სესიებს შორის პერიოდი რამდენიმე კვირას მოიცავს (არანაკლებ ორი კვირა). ეს დრო განკუთვნილია სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ყოველ მომდევნო სესიაზე შეიძლება დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს წარდგენა-განხილვა ან/და შეფასება.

ბლოკ-სემინარის პროგრამა იგება თემატური/პრობლემური ბლოკებით. ეს საშუალებას აძლევს დოქტორანტებს აირჩიონ ერთი ან რამდენიმე თემა/პრობლემა საკუთარი ინტერესის სფეროდან (სილაბუსის მოთხოვნის გათვალისწინებით) და განახორციელონ სხვადასხვა სასწავლო აქტივობა.

შესაძლებელია ბლოკ-სემინარის ადაპტირება სადოქტორო პროგრამის ყველა სასწავლო დისციპლინასთან, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა დროის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფას და სწავლა-სწავლების ეფექტიანობის ამაღლებას.

ბლოკ-სემინარი შეიძლება მოიცავდეს, როგორც ერთი, ისე რამდენიმე თემის/პრობლემის დამუშავებას სხვადასხვა ასპექტით. ამდენად, მის მუშაობაში დასაშვებია სხვადასხვა დისციპლინის წამყვანი პროფესორების მონაწილეობა.

სემინარი – სწავლა-სწავლების მეთოდია, რომელიც გულისხმობს პროფესორის მუშაობას აკადემიურ ჯგუფთან და მიზნად ისახავს ლექციაზე განხილული მასალის, ცალკეული საკითხის/პრობლემის დამუშავებას, პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებას, შეფასებას.

პრობლემური სემინარი - სემინარის ნაირსახეობაა, რომელიც გამოიყენება სადოქტორო პროგრამების განხორციელების დროს და ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფში მუშაობას კონკრეტული თემის ახლებურად გააზრების მიზნით - სტუდენტების მიერ, ამ თემის ცალკეული ასპექტის/პრობლემის გამოყოფას აქტუალობის ნიშნით, მსჯელობას და გარკვეულ დასკვნამდე/გადაწყვეტილებამდე მისვლას. ეს მეთოდი ეფუძნება დედუქციურ და ევრისტიკულ სტრატეგიას, ამიტომ მის ფარგლებში გამოყენება ისეთი აქტივობები, რომლებიც შეიცავს ამ სტრატეგიის ელემენტებს.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - სწავლება-სწავლის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა მცირე ჯგუფთან მუშაობას ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით. ამ მეთოდის ფარგლებში, უპირატესად, მიმდინარეობს ჯგუფური მუშაობა ცალკეულ პროექტზე, პრობლემაზე - შეიძლება განხორციელდეს ქეისებზე მუშაობა, მოდელირებულ სავარჯიშოებზე მუშაობა და სხვ.

ინდივიდუალური სამეცნიერო მუშაობა - დოქტორანტისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის ინდივიდუალური მუშაობა, საკონტაქტო საათის ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია სადისერტაციო კვლევის დაგეგმვასთან, კვლევის შედეგების განხილვასთან, დისერტაციის სტრუქტურირებასა და ა.შ.

ლექცია (სალექციო მეთოდი) - აკადემიური დროის მონაკვეთი, როდესაც პროფესორი, ახალი ცოდნის ფორმირების მიზნით, ზეპირი ფორმით, სტუდენტურ აუდიტორიას გადასცემს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული ან სპონტანურად წარმოშობილი თემატიკის მიხედვით.

ლექციის მიმართ წაყენებული მოთხოვნები:

ლექციის შინაარსი უნდა შეიცავდეს:

- ინფორმაციის აქტუალობას დისციპლინის მიზნებისა და შედეგების კონტექსტსა და თანამედროვეობასთან მიმართებით
- საკითხის/თემის ისტორიის/გენეზისის მიმოხილვას/ანალიზს (საჭიროების შემთხვევაში)
- მტკიცებულებებს, არგუმენტებს
- კავშირს განვლილ და მიმდინარე თემატიკას შორის
- თემის მეცნიერულ და მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს
- კავშირს პრაქტიკასთან - მაგალითები, ფაქტები (გარდა სპეციფიკური თემებისა)
- პროფესიული ტერმინების მიწოდებას/ახსნას
- პროფესორის საკუთარი აზრის დემონსტრირებას დარგობრივ სფეროში დამკვიდრებულ იდეებსა და სადაო საკითხებთან მიმართებით

ლექციაზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას:

- პროფესორის გამართული მეტყველება და გაგებინების ეფექტიანობა
- აუდიტორიის ყურადღების მობილიზება/შენარჩუნება (პედაგოგიური და ორატორული ხერხების გამოყენებით)
- აუდიტორიასთან შემოქმედებითი კომუნიკაცია, სტუდენტთა შემეცნებითი აქტივობა
- თვალსაჩინოების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება (საჭიროებით)
- გადაცემული მასალის გაგების ხარისხის პერიოდული შემოწმება პედაგოგიური ხერხებით
- სალექციო მასალის მიწოდება "ნექსუსზე" (აკადემიური პროცესის მართვის პორტალი) განთავსებით და/ან ნაბეჭდი სახით
- ლიტერატურის/წყაროების მრავალმხრივობა და მითითება
- დავალების მიცემა

სალექციო მეთოდით გათვალისწინებული აქტივობები:

ინტერაქტივი - ლექციის ფარგლებში, თემის დამუშავება, სტუდენტებთან აქტიური დიალოგის ფორმატით ან სემინარის ფარგლებში კონკრეტულ საკითხზე/თემაზე/პრობლემაზე მუშაობა დიალოგის ფორმატით. აქტივობა შეიცავს დედუქციური და ევრისტიკული სტრატეგიების ელემენტებს.

აქტივობა განავითარებს:

- მეცნიერულ ცოდნას, რთული და წინააღმდეგობრივი ინფორმაციის გაანალიზების უნარს
- კრიტიკულ ანალიზის უნარს
- ოპერატიულ აზროვნებას
- კომუნიკაციის უნარს
- დედუქციური და ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენების უნარს

პრეზენტაცია - ლექციის ფარგლებში, მასალის/ინფორმაციის ვიზუალიზაციისათვის, ელექტრონული ან მატერიალური საშუალებების გამოყენება.

აქტივობა განავითარებს:

- მეცნიერულ ცოდნას
- რთული და წინააღმდეგობრივი ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზების უნარს
- პრობლემის/საკითხის განხილვისას აბსტრაგირების მეთოდით ოპერირების უნარს

რეკომენდაცია:

რეკომენდირებულია ინტერაქტიური და საპრეზენტაციო ლექციების კომბინაცია, რაც საგრძნობლად აამაღლებს სასწავლო ეფექტს

სტუმარი/მოწვეული ლექტორის ლექცია - დარგის ცნობილი სპეციალისტი/ექსპერტი, მათ შორის, პრაქტიკოსი, რომელსაც იწვევს უნივერსიტეტი, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, ლექციის ჩასატარებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემაზე ან თანამედროვე პრაქტიკული, ან უახლესი მეცნიერული მიღწევების შესახებ, ან სტუდენტის მოთხოვნით საკუთარი კვლევითი პრობლემატიკის განსხვავებული ასპექტებით შესწავლისათვის

აქტივობა განავითარებს:

- ცოდნის, ახლებურად გააზრების, რთული და წინააღმდეგობრივი ინფორმაციის ანალიზის უნარს
- სპეციალისტთა სააზროვნო კლიშეების ახლებურად გააზრებას და გამოყენებას (სპეციალისტთა წრეში პროფესიული კომუნიკაციის უნარის განვითარებისთვის)
- დარგობრივ სფეროში მიმდინარე და ახალი იდეების, პროცესებისათვის მზაობას

დისტანციური სწავლება არის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ქსელის გამოყენებით სინქრონული ონლაინ სასწავლო-კვლევითი ურთიერთობა სტუდენტსა და ლექტორს შორის, რომელიც გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას და, უკუკავშირის მიღებას, შეიძლება შეფასებისთვის განხორციელებული აქტივობაც, რომელიც არ საჭიროებს მატერიალური რესურსის არსებობას და არ არის დაკავშირებული პრაქტიკული უნარების შეფასებასთან. ეს მეთოდის, ძირითადად, გამოიყენება უცხოეთიდან ლექციის ჩასატარებლად.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესის მოქნილობის/ეფექტურობის გაზრდას
- სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარებას
- სასწავლო მოტივაციის გაზრდას
- სწავლის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განავითარებს

სასემინარო / პრაქტიკულის მეთოდები

სემინარის მეთოდით გათვალისწინებული აქტივობები

დისკუსია – აქტივობა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იხილავენ ლექტორის მიერ მიწოდებულ ან სტუდენტის მიერ წამოჭრილ პრობლემას, თემას, საკითხს, ან მოძიებულ სასწავლო/ინოვაციურ ინფორმაციას. მეცადინეობაზე შეიძლება შეიქმნას იმპროვიზირებული ჯგუფები, რომლებიც წარადგენენ ჯგუფურად შემუშავებულ არგუმენტებს.

აქტივობა განავითარებს:

- კოლეგებთან პოლემიკაში ჩართვის უნარს
- არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- ახალი, წინააღმდეგობრივი იდეების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების/ანალიზის უნარს
- პრობლემის ახლებურად გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარს
- ღირებულებების ახლებურად გააზრებისა და ოპერირების უნარს

მოდელირებული კვლევის სავარჯიშო – სავარჯიშო, რომელიც გულისხმობს კვაზიმეცნიერული პრობლემისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატის შემუშავებას, რელევანტურობის დასაბუთებას, შედეგების კრიტიკულ ანალიზს და ა.შ..

აქტივობა განავითარებს:

- კვლევისთვის ადეკვატური მეთოდების შერჩევის უნარს
- კვლევის პროცესის დაგეგმვის უნარს
- დასმული ამოცანის/პრობლემის ახლებურად გააზრებისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარს

ქეისის ანალიზი - მაგალითი/შემთხვევა პრაქტიკიდან, რომელიც დამახასიათებელი ან განსაკუთრებულია ამ თუ იმ კონკრეტული დარგისთვის.

აქტივობა განავითარებს:

- მეცნიერული ლოგიკის განვითარების უნარს
- პრობლემის მეცნიერულად გააზრებისა და კრიტიკულად გაანალიზების უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს
- პრობლემის გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარს

ლექციაზე დასწრება/ჩატარება – დოქტორანტის დასწრება პროფესორის მიერ ჩატარებულ ლექციაზე და მის მიერ ლექციის ჩატარება სტუდენტურ ჯგუფთან.

აქტივობა განავითარებს:

- სტუდენტურ ჯგუფთან მუშაობისა და მართვის უნარს
- ახალი ინფორმაციის გასაგებად გადაცემის უნარს
- დავალების/ამოცანის ზუსტად/გასაგებად ფორმულირებას
- სალექციო აქტივობის შერჩევისა და გამოყენების უნარს

სასემინარო/პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება/ჩატარება – დოქტორანტის მიერ სასემინარო/ პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება სტუდენტურ ჯგუფთან, რომელსაც წინ უნდა უძღვოდეს პროფესორის/ასისტენტის მიერ სასემინარო/პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება და მისი განხილვა პროფესორთან ერთად.

აქტივობა განავითარებს:

- სტუდენტურ ჯგუფთან მუშაობისა და მართვის უნარს
- ჯგუფის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის უნარს
- მასალის დამუშავებისთვის ადეკვატური მეთოდების გამოყენების უნარს
- სტუდენტთა ცოდნის ადეკვატურად/ობიექტურად შეფასების უნარს

კონსულტაცია - დოქტორანტისა და ლექტორის ინდივიდუალური მუშაობის ნაირსახეობა, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ დასმული შეკითხვების, კონკრეტული სასწავლო საკითხების ან/და რთული დავალებების ახსნა-განმარტებას. კონსულტაცია შეიძლება ჩატარდეს, როგორც საკონტაქტო ფორმატით, ისე ელექტრონული რესურსების გამოყენებით.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- მასალის ახლებურად გაგება-გააზრებას
- სასწავლო მოტივაციის განვითარებას

სამეცნიერო კონსულტაცია - დოქტორანტისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის ინდივიდუალური მუშაობის ნაირსახეობა, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ დასმული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების, ლიტერატურის/წყაროების, ორგანიზაციული საკითხების შესახებ განმარტების/რჩევის მიცემა.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- კვლევის შედეგების სტრუქტურირებისა და, კონკრეტული სამეცნიერო ნაშრომის ფორმატით, ფორმირების უნარის განვითარებას
- ახლებურად გააზრებული ცოდნის ხარისხობრივი ფარგლების გაფართოვებას
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ოპტიმიზაციას
- პასუხისმგებლობის გაზრდას

შეფასების მეთოდების ფუნქციური აღწერა

სადოქტორო პროგრამებისთვის

კვლევითი პროექტი - არის წერითი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომელიც სრულდება სტუდენტის მიერ პროფესორთან სამეცნიერო კონსულტაციით.

მეთოდი ავლენს:

- სტუდენტის მეცნიერულ ცოდნას ზოგადად და კონკრეტული თემის გარშემო
- პრობლემის მეცნიერული ხედვისა და მისი გადაჭრისათვის ორიგინალური გადაწყვეტილებით მიღების უნარს
- ინფორმაციის სტრუქტურირების, არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების, კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარს
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნების, ამოცანების განსაზღვრის და კვლევისათვის ადეკვატური მეთოდების განსაზღვრის უნარს
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს აკადემიური და ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს.

ინფორმაციის გაფილტვრა - არის კვლევითი პროექტის ნაირსახეობა, რომელიც შეიცავს კონკრეტული თემის ფარგლებში, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან შეგროვებულ ინფორმაციას. პროექტის მომზადებისთვის სტუდენტს ნაწილობრივ ან საერთოდ არ მიეთითება წყარო. იგი ვალდებულია თავად მოიძიოს, მოახდინოს მიღებული ინფორმაციის სელექცია/ოპტიმიზაცია და სტრუქტურირება. ნაშრომი არ გულისხმობს ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, კომენტარს ან საკუთარი აზრის გადმოცემას - ის უნდა იყოს მხოლოდ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის მიმოხილვა.

მეთოდი ავლენს:

- წყაროებზე მუშაობისა და მიმოხილვის უნარს
- ინფორმაციის ანალიზისა და სტრუქტურირების უნარს
- მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის სელექციის უნარს
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს

სამეცნიერო სტატია/სამეცნიერო მოხსენება - კვლევითი ნაშრომის ნაირსახეობაა. ის უნდა შეიცავდეს მეცნიერულ პრობლემას და მისი აქტუალობის დასაბუთებას, წარმოდგენილ უნდა იქნას მეთოდოლოგია, კვლევის ჩატარების პროცედურა და კვლევის შედეგები, ნაჩვენები უნდა იყოს ავტორის ხედვა დასმული პრობლემის გადაჭრისათვის.

მეთოდი ავლენს:

- მეცნიერულ სითამამეს და პასუხიმგებლობას 3
- პრობლემის ხედვისა და მისი გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების უნარს
- კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საკუთარი აზრის კომპაქტურად სტრუქტურირების უნარს
- დარგობრივ სფეროში მიმდინარე პროცესების განვითარებისათვის მზაობას და მეცნიერულ პოლემიკაში ჩართვის უნარს
- აკადემიური პატიოსნებისა და ღირებულებების ახლებურად გააზრებისა და პრაქტიკაში დამკვიდრების უნარს
- ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს

სამეცნიერო რეფერატი - არის წერითი ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი წერს მითითებული ან მის მიერ შერჩეული და პროფესორთან შეთანხმებული თემის ფარგლებში.

სამეცნიერო რეფერატი იწერება დასმული ამოცანის შესაბამისად:

- **სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა** - გულისხმობს რამდენიმე წყაროს - წიგნის, სტატიის, სხვა სამეცნიერო ნაშრომის, მიმოხილვას ავტორისეული (სტუდენტის) კრიტიკული ანალიზის, კომენტარის ან საკუთარი პოზიციის გარეშე.
- **კვლევითი რეფერატი** - სხვადასხვა წყაროს ანალიზთან ერთად, ითვალისწინებს კონკრეტული თემის/წყაროს მეცნიერულ გააზრებას, კრიტიკულ ანალიზს, შეფასებას.

რეფერატის სტრუქტურა სამი ნაწილისაგან შედგება:

- შესავალი - თემის აქტუალობის/მნიშვნელობის დასაბუთება, პრობლემატიკის ჩვენება.
- ძირითადი ნაწილი - სხვადასხვა წყაროს ზოგადი ანალიზი, ავტორთა განსხვავებული მოსაზრებების მიმოხილვა. ანალიტიკური რეფერატის შემთხვევაში - ავტორისეული (სტუდენტის) მსჯელობა - პრობლემის შეფასება, საკუთარი არგუმენტებისა და დებულებების წარმოდგენა.
- დასკვნა - გულისხმობს ნაშრომის შეჯამებას – საკვანძო საკითხების ფორმულირებას, ავტორის ხედვის ჩვენებას.

მეთოდი ავლენს:

- აკადემიური ცოდნის ახლებურად გააზრების უნარს.
- მეცნიერული სტილით წერის და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვით
- სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრების გააზრების, შეპირისპირებისა და მთლიან ტექსტად ფორმირების უნარს.
- წყაროების კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

კვლევითი რეფერატის შემთხვევაში:

- პრობლემის მეცნიერული ხედვისა და მისი გადაწყვეტისთვის ორიგინალური მიდგომების განსაზღვრის უნარს
- ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს
- არგუმენტირებული მსჯელობის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს

სამეცნიერო თეზისი - მოკლე წერილობითი ანგარიში სტუდენტის მიერ განხორციელებული კვლევისა, რომლითაც გადმოცემულია კვლევის შედეგები, ძირითადი დებულებები, მიდგომები.

მეთოდი ავლენს:

- სამეცნიერო კვლევის უნარს
- კვლევის შედეგების კომპაქტურად სტრუქტურირების უნარს
- ლოგიკური, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- მეცნიერული სტილით წერის და სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვით

ქეისის ანალიზი – მაგალითის/შემთხვევის ანალიზი პრაქტიკიდან, რომელიც დამახასიათებელი ან განსაკუთრებულია/გამონაკლისია ამ თუ იმ კონკრეტული დარგისთვის.

მეთოდი ავლენს:

- მეცნიერული ლოგიკის განვითარების უნარს
- პრობლემის მეცნიერულად გააზრებისა და კრიტიკულად გაანალიზების უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს
- პრობლემის გადაჭრისათვის ორიგინალური მიდგომების განსაზღვრის უნარს

მოდელირებული კვლევის სავარჯიშო – სავარჯიშო, რომელიც გულისხმობს კვაზიმეცნიერული პრობლემის კვლევას დროის დათქმულ მონაკვეთში.

მეთოდი ავლენს:

- პრობლემის გადაჭრისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარს
- კვლევისთვის ადეკვატური მეთოდების შერჩევის უნარს
- კვლევის პროცესის დაგეგმვის უნარს
- შეზღუდული დროის პირობებში დასმული ამოცანის/პრობლემის მეცნიერულად გააზრებისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარს

კომბინირებული ტესტი - შეიცავს, როგორც ღია და დახურულ კითხვებს, ისე ანალიტიკურ საკითხებსა და ქეისის ანალიზს. ღია ტესტი გულისხმობს ერთმნიშვნელოვან მოკლე პასუხს (გამორიცხავს გამოცნობას), ხოლო დახურული კითხვები/დავალებები მოითხოვს არჩევანს ალტერნატიული კითხვებიდან, რამდენიმე კითხვიდან ან ფაქტების/მოვლენების შესაბამისობის/თანმიმდევრულობის დადგენას.

მეთოდი ავლენს:

- დროის მცირე მონაკვეთში, აკადემიურ ჯგუფის მიერ, მასალის გაგების ხარისხს
- ერთდროულად, ოპერატიული აზროვნებისა და ანალიზის უნარს
- ყურადღების კონცენტრაციის უნარს მნიშვნელოვან საკითხებზე/პრობლემებზე
- სტუდენტის მრავალმხრივ ცოდნას უნარებს

საცდელი ლექციისთვის მომზადება და ჩატარება – დოქტორანტის მიერ საცდელი ლექციის მომზადება და ჩატარება სტუდენტურ ჯგუფთან, რომელსაც წინ უნდა უძღვოდეს საჩვენებელ ლექციაზე დასწრება, ჩატარება და მისი განხილვა პროფესორთან ერთად.

მეთოდი ავლენს:

- სტუდენტურ ჯგუფთან მუშაობისა და მართვის უნარს
- ახალი ინფორმაციის გასაგებად გადაცემის უნარს
- დავალების/ამოცანის ზუსტად/გასაგებად ფორმულირებას
- სალექციო აქტივობის შერჩევისა და გამოყენების უნარს

საჩვენებელ მეცადინეობაზე დასწრების ანგარიში - გულისხმობს საჩვენებელი მეცადინეობის განხილვას, ანალიზს, შეფასებას, დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

მეთოდი ავლენს:

- მეცადინეობის ჩატარების ორგანიზაციულ-მეთოდური მიდგომების/თეორიების ცოდნას.
- მეცადინეობის ანალიზისა და შეფასების უნარს.
- სწავლება-სწავლისა და კომუნიკაციის მეთოდების შერჩევის უნარს.
- პედაგოგიური ღირებულებებისადმი დამოკიდებულებას.

საჩვენებელ მეცადინეობაზე დასწრების ანგარიშის სტრუქტურა

- შესავალი: საერთო ინფორმაცია - ჩატარების დრო, აკადემიური პროგრამა, სწავლების წელი, მეცადინეობის მეთოდი (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული), ლექტორის სახელი, გვარი, მეცადინეობის თემა.
- ძირითადი ნაწილი: სასწავლო გარემოს/რესურსების აღწერა; მეცადინეობის მიზნები; მეცადინეობის სტრუქტურის აღწერა (ეტაპები, ქრონომეტრაჟი, მეთოდები, არასტანდარტული სიტუაციები, ლექტორის თვითმართვა და ჯგუფის მართვა პედაგოგიური ღირებულებებით ოპერირების ჩათვლით); მეცადინეობის ანალიზი, შეფასება (პედაგოგიური ღირებულებების ჩათვლით).
- დასკვნა (მეცადინეობით დაგეგმილი აქტივობების შესრულება, მიზნის მიღწევის ხარისხი, განსაკუთრებულად ორიგინალური/საინტერესო გამოცდილება, ხარვეზები).

- რეკომენდაციები (არასტანდარტული სიტუაციების გადაწყვეტის საკუთარი მოდელი ან საკუთარი, დასაბუთებული რეკომენდაციები).

სამუშაო ჯგუფთან მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობის მომზადება და ჩატარება – დოქტორანტის მიერ შესაფასებელი სასემინარო/პრაქტიკული მეცადინეობისთვის მომზადება და ჩატარება სტუდენტურ ჯგუფთან, რომელსაც წინ უნდა უძღვოდეს რიგით სემინარულ/პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება, ჩატარება და მისი განხილვა პროფესორთან ერთად.

მეთოდი ავლენს:

- სტუდენტურ ჯგუფთან მუშაობისა და მართვის უნარს
- ჯგუფის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის უნარს
- მასალის დამუშავებისთვის ადეკვატური მეთოდების გამოყენების უნარს
- სტუდენტთა ცოდნის ადეკვატურად/ობიექტურად შეფასების უნარს

პრეზენტაცია - სასწავლო მასალის ან კვლევითი ნაშრომის მომზადება და წარდგენა აკადემიური/სამეცნიერო ჯგუფის წინაშე. ახალი/საკუთარი იდეების, მიდგომების დასაბუთება, ჯგუფის წევრების შეკითხვების მოსმენა, პასუხების გაცემა, დისკუსიის გამართვა ეთიკის ნორმების გათვალისწინებით. პრეზენტაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ზეპირად ან ვიზუალური საშუალებების თანხლებით.

მეთოდი ავლენს:

- მეცნიერულ სითამამეს და პასუხიმგებლობას
- საგნობრივ ცოდნას
- რთული და წინააღმდეგობრივი ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზების უნარს
- საკუთარი აზრის კომპაქტურად სტრუქტურირების უნარს

დიკუსია – შეფასების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იხილავენ ლექტორის მიერ მიწოდებულ ან სტუდენტის მიერ წამოჭრილ პრობლემას, თემას, საკითხს, ან მოძიებულ სასწავლო/ინოვაციურ ინფორმაციას.

აქტივობა ავლენს:

- კოლეგებთან პოლემიკაში მონაწილეობის უნარს
- არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- ახალი, წინააღმდეგობრივი იდეების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების/ანალიზის უნარს
- პრეზენტაბელურობას